თქვენი ცეცხლი მხოლოდ ერთ-ერთია სამოცდაათი ნაწილიდან გეენას ცეცხლისა

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «თქვენი ცეცხლი მხოლოდ ერთ-ერთია სამოცდაათი ნაწილიდან გეენას ცეცხლისა». უთხრეს მას: "ო, ალლაჰის მოციქულო, ჩვენთვის ჩვენი ცეცხლიც საკმარისი იქნებოდა". მან თქვა: «ის უფრო მეტია კიდევ სამოცდაცხრა ნაწილით, რომელთაგან თითოეული ისეთივე ცხელი და მწვავეა, როგორც ეს ცეცხლი».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), გვამცნობს, რომ ამქვეყნიური ცეცხლი ჯოჯოხეთის ცეცხლის სამოცდაათი ნაწილისგან მხოლოდ ერთი ნაწილია. საიქიოს ცეცხლი ამ სამყაროს ცეცხლის სიმხურვალეს აღემატება სამოცდაცხრაჯერ და თითოეული მათგანის სიმხურვალე თანაბარია ამქვეყნიური ცეცხლის. და უთხრეს: "ო, ალლაჰის შუამავალო, ამ სამყაროს ცეცხლიც საკმარისი იქნებოდა მასში შესული ადამიანებისთვის დასასჯელად". შუამავალმა თქვა: "ჯოჯოხეთის ცეცხლი აღემატება ამ სამყაროს ცეცხლს სამოცდაცხრა ნაწილით, და ყოველი მათგანი სიმხურვალით მსგავსია ამქვეყნიური ცეცხლის ".

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/65036